



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 119

2022 წლის 27 ივლისი

ქ. თბილისი

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 25 მაისის N88 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N701212, 24.06.2022წ.) შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 25 მაისის N88 ბრძანებაში და ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკონკურსო დოკუმენტაციის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში ატვირთვა შესაძლებელი იქნება 2022 წლის 1-ლი ივნისიდან 2022 წლის 8 ივლისის 18:00 საათამდე.

4. ფონდის კანცელარიაში „სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო 2022 წლის კონკურსში“ მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა ფონდის კანცელარიაში განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 11 ივლისის 16:00 საათი“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№64).

ჯაბა სამუშია

004500